ნინო ყარალაშვილი *

„კონსერვატიული მოძრაობა“ - ახალი ულტრამემარჯვენე ძალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია 2021 წელს ჩამოყალიბებული ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“. კვლევის მიზანია პარტიის იდეოლოგიის შესწავლა, მისი საგარეო პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრა და პარალელების გავლება სხვა მემარჯვენე პოლიტიკურ ძალებთან. სტატია ეყრდნობა როგორც მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, აგრეთვე პირადად ჩატარებულ ინტერვიუებს სტატიაში ნახსენებ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

საკვანძო სიტყვები: „კონსერვატიული მოძრაობა“; კონსერვატიზმი; ულტრამემარჯვენე; ახალი პოლიტიკური ძალა.

შესავალი

2021 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. ქვეყანაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და პოლიტიკურ სპექტრში გაჩნდა ახალი პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა იდეოლოგიითა და განსხვავებული დაპირებებით. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ „კონსერვატიული მოძრაობა“, რომლის ჩამოყალიბების წინაპერიოდსა თუ დაარსებას უხმაუროდ არ ჩაუვლია. ნაშრომის **მიზანია** შევისწავლოთ ულტრამემარჯვენე პარტიის იდეოლოგია, საგარეო პოლიტიკა და დამოკიდებულება ჩრდილოელ მეზობელთან. რაც შეეხება **ჰიპოთეზას,** „კონსერვატიული მოძრაო-

---

* პოლიტიკის მეცნიერებათა ბაკალავრი

ბა“ რეალურად არ წარმოადგენს ჭეშმარიტ კონსერვატიულ ძალას, იგი გახლავთ პრორუსული ულტრამემარჯვენე ძალა.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის სიღრმისეული ინტერვიუ „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტსაბჭოს წევრთან. გარდა ამისა, გაანალიზებულია მედია საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები და სტატიები.

თეორიული ჩარჩო

რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, ნაშრომში გამოყენებულია ულტრამემარჯვენე ძალების ცნობილ მკვლევარის, კას მუდეს თეორია (Mudde 2004). ავტორი ნათლად აანალიზებს საკვლევ თემას და გამოყოფს ოთხ ძირითად კომპონენტს, ესენია: ქსენოფობია, ავტორიტარიზმი, ნაციონალიზმის რწმენა და შოვინისტური სოციალური პროგრამა (ტაბატაძე, 2019). პირველი და მეორე კომპონენტის მხარდაჭერით კონკრეტული ჯგუფი მუდესთვის ასოცირდება ნატივისტურად, თუ კი მას ემატება ავტორიტარიზმის მხარდაჭერა, მაშინ ეს ჯგუფი უკვე გარდაიქმნება რადიკალურ მემარჯვენეობად. ოთხივე კომპონენტის გაზიარების შემთხვევაში კი, ამა თუ იმ გაერთიანებას შეგვიძლია ვუწოდოთ მემარჯვენე ექსტრემისტი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო პერიოდია, აქტიურად შეინიშნება ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალების მომძლავრება, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, აგრეთვე საქართველოში. რაც საგრძნობლად შეიმჩნება ევროპეიზაციის ფონზე (Wales, 2017). განსაკუთრებით პრობლემატური აღმოჩნდა 2015 წელი ევროპის სახელმწიფოებისთვის (ჯღარკავა, 2017), ვინაიდან ისინი დადგნენ საიმიგრაციო კრი-

ზისის წინაშე და ამას მიყოლებით მოსდევს ულტრამემარჯვენე ძალების გააქტიურება.

თავად საკითხის კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად 90-იანი წლებიდან იწყება. მაგალითად, იტალიელი მკვლევარი პიერო იგნაზი აღნიშნავს, რომ ულტრა-მემარჯვენე რადიკალური ძალების მომძლავრებას საზოგადოებაში, როგორც წესი, განაპირობებს 4 ძირითადი ფაქტორი: პოლარიზაცია, ლეგიტიმაციის კრიზისი, ნეოკონსერვატიული კულტურული ხასიათი და ამასთანავე, ანტისაიმიგრაციო პოლიტიკა (Ignazi 1992). ავტორი გვეუბნება, რომ მოულოდნელმა ცვლილებებმა კულტურულ სფეროსა თუ მასობრივ რწმენაში ხელი შუეწყო რადიკალიზაცია-პოლარიზაციას, რამაც თავის მხრივ განაპირობა ულტრამემარჯვენე ძალების აღზევება.

საინტერესოა აგრეთვე ჯუდით ბესანტის შეფასება (Bessant 2017), რომელსაც მიაჩნია, რომ სწორედ სატელევიზიო თუ ციფრული მედია ახდენს ზეგავლენას ახალგაზრდებზე და ხელს უწყობს მათში ულტრა-მემარჯვენე იდეების პოპულარიზაციას. საკუთარი პოპულარიზაციისთვის, ულტრა-მემარჯვენე ძალები ხშირად მიმართავენ რელიგიასაც (კანდელაკი 2021). შეგვიძლია დავიმოწმოთ ოლივერ რუა (Roy 2016), რომელიც მიიჩნევს, რომ „რელიგია ხდება იდენტობის აღმნიშვნელი და აძლევთ მათ საშუალებას, განასხვავონ კარგი „ჩვენ“ და ცუდი „ისინი“.

პარტიის ფორმირების წინა პერიოდი

„კონსერვატიული მოძრაობის“ დამფუძნებელია მედია-პლატფორმა „ალტ-ინფო“, რომელიც საკუთარ თავს წარმოაჩენს ალტერნატიული ინფორმაციის წყაროდ. აღნიშნული მედია-პლატფორმა ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილია, განსაკუთრებით 5 ივლისის მოვლენების შემდგომ. 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ წევრებს დაგეგმილი ჰქონდათ დედაქალაქში

ე. წ. „ღირსების მარშის“ ჩატარება, ამ გადაწყვეტილებამ გარკვეული ჯგუფების გაღიზიანება გამოიწვია და, მათი თქმით, ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების დაცვის მიზნით დაანონსეს კონ-ტრაქცია. ამ ჯგუფებს შორის იყო სწორედ „ალტ-ინფო“. დაპირისპი-რების თავიდან ასაცილებლად „თბილისი პრაიდმა“ გააუქმა დაან-ონსებული ღონისძიება, თუმცა მოწინააღდეგეების გამოსვლა მაინც ვერ აირიდა თავიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაცულია აზრის გამოხატვის თავი-სუფლება (president.gov.ge), მაგრამ 5 ივლისს სრულიად საპირისპი-როდ წარიმართა მოვლენები. იყო „თბილისი პრაიდისა“ და „სირ-ცხვილიას“ ოფისების დარბევა, ათეულობით ნაცემი ჟურნალისტი და კიდევ უფრო მეტი დაკავებული ადამიანი ჯგუფურ ძალადობა-ში მონაწილეობისთვის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „ალტ-ინფო“ აქტიურად აწარმოებდა კამპანიას, რათა მოეგროვებინათ თანხა 5 ივლისის მოვლენებისთვის დაკავებულთა გირაოს გადასახდელად.

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰ-ყვა 5 ივლისის მოვლენებს. იგი აღქმული იქნა, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა, მაგრამ “ალტ-ინფოს” შეფასებით ეს იყო ქართული ეროვ-ნული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა.

ამ მოვლენების შემდეგ ალტ-ინფოს აქტიური საინფორმაციო კამპანია ქონდა სოციალურ მედიასა და სოციალურ ქსელებში. სა-ყურადღებოა ისიც, რომ მაუწყებელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სარჩელიც ჰქონდა შეტანილი კომპანია „სილქნეტის“ წი-ნააღმდეგ, იმ მიზეზით, რომ დაირღვა კანონი „მაუწყებლობის შესა-ხებ“ (netgazeti.ge 2021), რომლის თანახმადაც ავტორიზებული პირს ჰქონდა ვალდებულება მაუწყებლის სატელევიზო არხი განეთავსე-ბინა ყველა პაკეტში, რომელსაც საკუთარ მომხმარებელს აწვდიდა, თუმცა კომპანიამ სატელევიო პაკეტში არ განათავსა „ალტ ინფო“. კონკრეტული ბრალდებები იყო მეორე მხრიდანაც, ვინაიდან ორგა-

ნიზაცია „მედიის უფლებებს“ უამრავი კრიტიკული კითხვა ჰქონდა მარეგულირებელ კომისიასთან „ალტ ინფოს“ საქმიანობის შესახებ, იყო მოწოდებებიც მის აკრძალვასთან დაკავშირებით, თუმცა გამოითქვა მოსაზრება რომ ეს იყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2021 წელს „ფეისბუკმა“ გააუქმა დაახლოებით 50 ანგარიში, 8 ღონისძიება, 4 ჯგუფი, 49 გვერდი და 19 ინსტაგრამ-პროფილი, რომელიც დაკავშირებული იყო ალტ-ინფოსთან. მიზეზად დასახელებული იყო უხამსობისა და არასრულწლოვანთათვის შეუფერებლი მასალის ტირაჟირება (netgazeti.ge 2021).

აღნიშნული მოვლენების გამო, გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, რომ უხმაუროდ არ ჩაუვლია თავად პარტიის დაარსების პროცესსაც. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი აღნიშნავს, რომ „კონსერვატიული მოძრაობის“ ჩამოყალიბების მიზეზი განპირობებული იყო მათი მხარდამჭერების რაოდენობის ზრდით, ვადამდელი არჩევნების დანიშნვის შემთხვევაში კი შეეცდებიან გახდნენ წამყვანი ძალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ამგვარად დაიცვან საკუთარი მხარდამჭერების ინტერესები.

2021 წლის 20 ნოემბერს მოძრაობამ პარტიის პრეზენტაცია გამართა და ამ ფაქტს მაშინვე მოჰყვა განსხვავებული შეფასებები ქართულ პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორში. იყო მოწოდებები იუსტიციის სამინისტროს მიმართ, რომ საჯარო რეესტრს არ დაერეგისტრირებინა „კონსერვატიული მოძრაობა“ პარტიად. პარტია „ლელოს“ წევრი ანა ნაცვლიშვილი უერთდებოდა ამ მოწოდებას და აღნიშნავდა, რომ თუ მოხდებოდა მოძრაობის რეგისტრაცია პარტიად, ამ შემთხვევაში მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს მისი გაუქმების მოთხოვნით (radiotavisupleba.ge 2021). ნაცვლიშვილის პოზიციას იზიარებდა აგრეთვე სახალხო დამცველის მოადგილე, გიორგი ბურჯანაძე და მოითხოვდა პარტიის აკრძალვას. შენიშვნის სახით უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის

თანახმად პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის ინიცირება შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას ან 30 დეპუტატს (radiotavisupleba.ge 2021). მიუხედავად კრიტიკული კომენტარებისა, 2021 წლის 8 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ „კონსერვატიული მოძრაობა“ დაარეგისტრირა.

პარტიის ლიდერები და ორგანიზაციული სტრუქტურა

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში წარმოდგენილ პარტიებს რომ გადავხედოთ, შევნიშნავთ ტენდენციას, რომ მათ უმრავლესობას ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. სწორედ ლიდერის გარშემო ირაზმებიან პარტიის წევრები და ფაქტობრივად ეს ლიდერი წარმოადგენს პარტიის სახეს. ლიდერის სახელი და გვარი ხშირად დომინირებს კიდეც პარტიის სახელწოდებაში. „კონსერვატიული მოძრაობის“ შემთხვევაში ვითარება სხვანაირადაა, ჯერ-ჯერობით არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც დაეყრდნობა პარტია და რომელიც კარგად ნაცნობი იქნება ქართული საზოგადოებისთვის საკუთარი საქმიანობით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კონსერვატიულ მოძრაობას“ ძირითადად წარმოადგენენ ქართული პოლიტიკისთვის ახალი სახეები და მათი ცნობადობის ზრდა ძირითადად იწყება 5 ივლისის მოვლენების შემდგომ. პარტიის თავმჯდომარედ დასახელებულია ზურა მახარაძე, 5 ივლისის მოვლენების შემდგომ სამართალდაცავებმა მისი სახლი გაჩხრიკეს, ხოლო თავად მახარაძე დაკითხვაზეც იყო დაბარებული. პარტიის ყრილობაზე დაასახელეს გენერალური მდივანიც, ამ პოსტს იკავებს გიორგი ქარდავა. რაც შეეხება პარტიის მმართველ საბჭოს, მასში წარმოდგენილნი არიან ვასილ გვილია, გიორგი ქარდავა და ირაკლი მარტინენკო. ხოლო სარეზერვო კომისიაში შედიან ემრე ქუჩუქი, ალექსანდრე ქარდავა და გიორგი მარტინენკო (altinfo.pw 2021).

პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი კონსტანტინე მორგოშია ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც წარსულში ულტრამემარჯვენე მოძრაობის „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფინანსებელი და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი.

პარტიის წესდებაში აღნიშნულია, რომ „კონსერვატიული მოძრაობის“ მიზნები შემდეგია (publika.ge 2021): ა) დამოუკიდებელი, სოციალური, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული, კონსერვატიული და ქრისტიან-დემოკრატიული იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბება; ბ) ქართულ კანონმდებლობაში ქრისტიანობისა და მართმადიდებლური ეკლესიის როლის განმტკიცება; გ) ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობა, აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების ახალი წესი - სრული მაჟორიტარული სისტემა, ვადამდე უკან გამოწვევის ახალი მექანიზმი, რომლის თანახმადაც ძალაუფლება რეალურად გადავა ხალხის ხელში; დ) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ე) ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოება, ეკონომიკური და კულტურული სტაბილურობის მიღწევა; ვ) მედიისა თუ განათლების სფეროში გარე ჩარევის აკრძალვა და საკანონმდებლო დონეზე კონტროლი საზღვარგართიდან დაფინანსებული საქმიანობების შესახებ; ზ) პრივილეგირება და შეღავათების დაწესება სამხედრო მოსამსახურეებისა და სამართალდამცავი პირებისთვის, სამართლიანი იერარქიის გათვალისწინებით; თ) საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით ქრისტიანული დემოკრატიის დამკვიდრება (publika.ge 2021).

პარტიად დარეგისტრირების შემდეგ, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ აქტიურად დაიწყო რეგიონებში საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება და რეგიონული ოფისების გახსნა. იყო შეხვედრები წალენჯიხასა და ხობში პარტიის ადმინისტრაციულ ჯგუფებთან და მოსახლეობასთან. 2022 წლის 15 იანვრის მონაცემებით პარტია

„კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისი წარმოდგენილია სამეგრელო-ზემო სვანეთის შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, წალენჯიხა, მარტვილი, ზუგდიდი, ხობი და აბაშა. „კონსერვატიული პარტიის“ ოფისები დაფუძნდა აგრეთვე რუსთავსა და დმანისში (altinfo.ge 2022). საყურადღებოა ფაქტია, რომ ზოგიერთ რეგიონში ხმაურით მთავრდება „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის გახსნა და მოსახლეობის ნაწილი აპროტესტებს მათ ქალაქში პარტიის ფუნქციონირებას. „კონსერვატიულ მოძრაობაში“ ფიქრობენ, რომ ამ საპროტესტო ტალღის უკან დგანან „ნაციონალური მოძრაობის“ ან „გეი პროპაგანდისტების“ პარტიები (radiotavisupleba.ge 2022). რაც შეეხება მოსახლეობას, ისინი აპროტესტებენ პარტიის საგარეო პოლიტიკურ კურსს, 5 ივლისის მოვლენებს და აცხადებენ, რომ არ სურთ საკუთარ რეგიონში რუსული, პროპაგანდისტული ორგანიზაციის არსებობა (radiotavisupleba.ge 2022). პროტესტის ფორმა სხვადასხვაგვარია, მაგალითად მარნეულში პარტიის ოფისი უკრაინის დროშის ფერებში შეღებეს, რაჭაში საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა პარტიის წინააღმდეგ, შუახევში დაატოვებინეს ოფისი, ხოლო საგარეჯოში აქციით გააპროტესტეს ოფისის გახსნა, რამაც მცირე ინციდენტი გამოიწვია. აქციიდან მეორე დღეს, საგარეჯოში დაარბიეს „ნაციონალური მოძრაობის ოფისი“ და გაანადგურეს მათი ტექნიკა. ოპოზიციური პარტია აღნიშნულ ფაქტს სწორედ „კონსერვატიული მოძრაობის“ წინააღმდეგ გამართულ აქციას უკავშირებდა (reginfo.ge 2022). აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტია და მისი პოლიტიკა მიუღებელია ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

მათი აქტიურობა შეინიშნება ფეისბუქ გვერდზეც. პარტიის ლიდერები საკუთარ მხადამჭერებს ჰპირდებიან, რომ უახლოეს მომავალში უზრუნველყოფენ სხვა რეგიონებშიც რეგიონული ორგანიზაციების ფუნქციონირებას. პარტიის თავმჯდომარის თქმით, ისინი აპირებენ ისეთი პარტიული ორგანიზაციული სტრუქტურის შექ-

მნას, რომელშიც გაერთიანდებიან ადამიანები არა მხოლოდ საარ-ჩევნოდ, არამედ მათ ექნებათ იდეოლოგიური სიახლოვე პარტიას-თან და ექნებათ გრძელვადიანი მიზნები „კონსერვატიულ მოძრა-ობასთან“ ერთად (youtube.com 2021).

ფინანსები

ბევრი კითხვა ჩნდება საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრე-ებში თუ საიდან და რა წყაროებით ფინანსდება „კონსერვატიული მოძრაობა“. პარტიის ლიდერთა თქმით, მათ მხარდამჭერებს, განსა-კუთრებით ემიგრანტებს, დიდი სურვილი აქვთ შემოწირულობე-ბით დაეხმარონ პოლიტიკურ პარტიას, თუმცა საკუთარი პოლიტი-კური მიზნებიდან გამომდინარე, ამ თანხაზე ისინი უარს აცხადებენ (radiotavisupleba.ge 2021). პარტიის ლიდერები ფინანსურ დახმარე-ბას ელოდებიან ბიზნეს სექტორიდან. ერთ-ერთი უმსხვილესი დამ-ფინანსებელია კონსტანტინე მორგოშია, იმედოვნებენ აგრეთვე სხვა ბიზნესმენების მხარდაჭერას, რომლებიც მოღვაწეობენ პოსტსაბჭო-თა სივრცეში.

მიუხედავად ამისა, პარტიის დაფინანსების წყაროებთან და-კავშირებით უამრავი კითხვა და ეჭვი არსებობს არასამთავრობო სექტორში. თავდაპირველად ორგანიზაციამ „მედიის უფლებები“ მიმართა მარეგულირებელ კომისიას, რათა შეესწავლა შპს „ალტ-ინ-ფოს“ დაფინანსების წყაროები. აღნიშნული თემის მიმართ კითხვე-ბი არ გამქრალა „კონსერვატიული მოძრაობის“ პარტიად დარეგის-ტრირების შემდგომაც. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცი-ამ „ინფორმაცია სანდოობისთვის“ გაავრცელა განცხადება და მოუწ-ოდა შესაბამის ორგანოებს გამოიძიონ პარტიის დაფინანსების წყა-როები. მათი ვარაუდით, პარტია უმეტესწილად ფინანსდება რუსე-თიდან, რაც სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ჰიბრი-დული ომის პირობებში. კოალიციას მნიშვნელოვნად მიაჩნია აღ-ნიშნული საკითხის გამოძიება, ვინაიდან „კონსერვატიული მოძრა-

ობა“ ატარებს ანტიდასავლურ ნარატივს და გამოირჩევა პრორუსულობით(netgazeti.ge 2021).

იდეოლოგია

„კონსერვატიული მოძრაობა“ მემარჯვენე პოლიტიკური ძალაა. პარტიის წევრთა თქმით, ისინი მთლიანად ეყრდნობიან კონსერვატიულ იდეოლოგიას, ვინაიდან თითოეულ წევრს გათავისებული და გაანალიზებული აქვს ამ იდეოლოგიის არსი, ეყრდნობიან იმ ღირებულებებს, რომელთაც გაუძლეს დროს და რომელთა შენარჩუნებისთვის უამრავი სისხლია დაღვრილი. ესაა ღირებულებები, რომელიც მისაღებია ქრისტიანობისთვის და გამომდინარეობს ქართული მორალიდან, კულტურიდან და ტრადიციებიდან. ერთ-ერთ გადაცემაში (youtube.com 2021) პარტიის წევრები აღნიშნავენ, რომ სწორედ კონსერვატიზმია ის იდეოლოგია, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება და რეალურად ეროვნული იდეა უნდა იყოს ქვეყნის განვითარების მთავარი მიზანი.

კონსერვატიზმი მათთვის გაგებულია რელიგიის, ქრისტიანობის, საპატრიარქოს დაცვასთან, საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებიან, რომ სწორედ კონსერვატიული ხედვა უზრუნველყოფს იმ ფუნდამენტური პრობლემების აღმოფხვრას, როგორიცაა სახელმწიფო უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მატერიალური სიდუხჭირე. ზურაბ მახარაძის თქმით (1tv.ge), კონსერვატიზმი იქნება ფუნდამენტი, რომლის საფუძველზეც აშენდება ქრისტიანული დემოკრატია, ლიბერალური დემოკრატიის ნაცვლად, დაამთავრებენ ქართულ პოლიტიკაში გაბატონებულ ორპოლუსიანობას და პოლარიზაციას, ვინაიდან, მათი თქმით, ხალხი დაიღალა არჩევანის გაკეთებით „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

„კონსერვატიული მოძრაობა“ არ იშურებს კრიტიკას ლიბერალიზმის მიმართ. პარტიის სატელევიზიო გადაცემები იწყება საზო-

გადოების მოწოდებით „არ გადართოთ ლიბერალურ არხებზე“. პარტიის ლიდერთა შეფასებით, ე. წ. „ლიბერალურ არხებს“ ქართული საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში და აწვდის მას ცრუ ინფორმაციას. პარტიის სადამფუძნებლო ყრილობის დროს აღინიშნა, რომ კონსერვატიზმმა უნდა დაასრულოს „ლიბერალური დიქტატი“, რომელმაც ბოლო 30 წელია მოიცვა საქართველო და რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებები მიიღებოდა არა ხალხის ნებაზე დაფუძნებით, არამედ გარედან ნაკარნახევი დირექტივებით (youtube.com 2021).

ლიბერალიზმის კრიტიკა ალტ-ინფოს ტელევიზიიდანაც ხშირად ისმის, მათი შეფასებით ლიბერალური იდეოლოგია კონსერვატიზმს აკრავს უამრავ ცრუ და მავნე იარლიყს, საზოგადოებას ეუბნება, რომ თითქოს კონსერვატიზმი არის რადიკალური, ექსტრემისტული იდეების ერთიანობა, იგი საფრთხეს უქმნის საზოგადეობის უსაფრთხოებას, სტაბილურობას და აყალიბებს ტერორისტულ გაერთიანებას, სინამდვილეში სწორედ ლიბერალიზმია ის იდეოლოგია, რომელიც ხელს აფარებს მავნე იდეებს, პიროვნული თავისუფლებისა თუ ინდივიდუალიზმის იდეასაა ამოფარებული და ხელს უწყობს არაქრისტიანული, არატრადიციული იდეების გავრცელებასა და დანერგვას. ამ ყველაფერს კი მოსდევს ეროვნულობის დაკარგვა (youtube.com 2021)

ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და სხვა კონსერვატიული ძალების პოზიციები „კონსერვატიული მოძრაობის“ შესახებ

საინტერესოა ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების შეფასებები „კონსერვატიული მოძრაობის“ შესახებ. პოლიტოლოგი გია ნოდია მიიჩნევს, რომ ნაკლებ სავარაუდოა პარტიად რეგისტრირების შემდგომ მედია-პლატფორმა უფრო პოპულარული და გავლენიანი გახდეს ქართული საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მსგავსი ულტრამემარჯვენე ძალების წარმოშობა საკმაოდ სახიფათოა. თუმცა, მაინც უსაფუძვლოდ თვლის იმ ფაქტს,

რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი ეწინააღდეგებოდა მათი პარტიად რეგისტრაციის პროცესს. გ.ნოდიას ვარაუდით, საარჩევნო ბარიერის დაწევის შემთხვევაში შესაძლოა „კონსერვატიული მოძრაობა“ მოხვდეს საქართველოს პარლამენტში, თუმცა რაიმე საფუძვლიანი ეჭვი არ არსებობს, რომ მათ შეეძლებათ შეცვალონ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი.

„კონსერვატიული მოძრაობა“ არარესპექტაბელური ძალაა აგრეთვე ბექა მინდიაშვილისთვის, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დამფუძნებლისთვის. მისი შეფასებით, დღეისათვის საკმაოდ დაძაბულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, ქვეყანა დგას ჰიბრიდული ომის საფრთხის წინაშე და გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები, ღიად გაცხადებული პრორუსული და ძალადობრივი მიზნების მქონე პოლიტიკური პარტიის გამოჩენა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სახიფათოა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისა თუ ჯანმრთელობისთვის (radiotavisupleba.ge 2021)

მსგავსი პოზიციები გააჩნია აგრეთვე ანალიტიკოს ზურაბ ბატიაშვილსაც. მისი შეფასებით, რუსული სცენარის ნაწილია „კონსერვატიული მოძრაობის“ დაპირებები, რომ საქართველოში რუსული ბაზების განთავსების შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. გარდა ამისა, როდესაც პარტიას აქცენტი გადააქვს თურქეთიდან მომავალ საფრთხეებზე, ბოლო 30 წლის მოვლენებიც ნათლად აჩვენებს, რომ რეალურ საფრთხეს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი (batumelebi. netgazeti.ge 2021). მსგავსი პოზიციებით ისინი საკმაოდ უახლოვდენიან „პატრიოტთა ალიანსს“, რომელიც თავის დროზე აქტიურად აპელირებდა „ყარსის ხელშეკრულებით“ და შიშობდა, რომ ბათუმი გადავიდოდა თურქების იურისდიქციაში.

საინტერესო შეფასებები არსებობს აგრეთვე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. პარტია „ ლელოს“ წევრი ანა ნაცვლიშვილი კატე-

გორიული წინააღმდეგი იყო, რომ ალტ-ინფოს დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და საჯარო რეესტრს მოუწოდებდა არ დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. საკუთარ პოზიციას ხსნიდა იმით, რომ „კონსერვატიული მოძრაობა“ თავისი იდეებიდან და პოზიციებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

„კონსერვატიული მოძრაობის“ შეხედულებებს არ იზიარებს „ევროპული საქართველოს“ თავჯდომარე გიგა ბოკერია, თუმცა განსხვავებით ანა ნაცვლიშვილისგან, მას არ მიაჩნდა სწორად პარტიის რეგისტრაციის აკრძალვა, იმ მიზეზით, რომ საფრთხის ქვეშ დგებოდა სიტყვის თავისუფლების საკითხი. გაუმართლებელი საბაბია ის, რომ „ცუდი იდეებისთვის ისჯებოდნენ ადამიანები“ (radiotavisupleba.ge 2021), მსგავსი ტენდენცია სხვა პოლიტიკური პარტიებისთვისაც იქნება საკმაოდ სახიფათო და პრობლემატური, თანაც პარტიის აკრძალვით ვერ გააქრობდნენ მათ იდეებს.

საყურადღებოა აგრეთვე მმართველი ძალის პოზიციები პარტიის შესახებ. გიორგი ვოლსკის აზრით, მისი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო იგი საერთოდ არ დაარეგისტრირებდა პარტიას, ვინაიდან თანხვედრაში არაა „კონსერვატიული მოძრაობის“ იდეები და მისი პოზიციები ერთმანეთთან. თუმცა პოლიტიკის დანიშნულებაც ისაა, რომ ასეთ გაერთიანებებს ან პოლიტიკურ პარტიებს არ მიეცეთ უფლება თავიანთი საქმიანობა წარმართონ იატაკქვეშა საზოგადოებაში (radiotavisupleba.ge 2021).

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც თავს კონსერვატიულად მიიჩნევენ, საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულა გააჩნიათ მედია-პლატფორმა ალტ-ინფოსა და „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ. მათ შორისაა ლევან ვასაძეც. როგორც ვასაძის პარტია „ერთობა, რაობა, იმედი - ერი", აგრეთვე „კონსერვატიული მოძრაობა“ ახლად წარმოქმნილი პოლიტიკური პარტიებია ქართულ პოლიტიკაში. ორივე აქცენტს აკეთებს ტრადიციულ-ეროვნულ ღირებულებებზე და გასაკვირი არაა, რომ მათი პოზიციები

ერთმანეთის მიმართ ყოველთვის დადებითია. ამას ადასტურებს ისიც, რომ ალტ-ინფოს სოციალურ მედიაში ხშირად წავაწყდებით ლევან ვასაძის ინტერვიუებსაც. მსგავსად „კონსერვატიული მოძრაობისა“, ლევან ვასაძე კრიტიკულად არის განწყობილი დასავლეთის მიმართ და საგარეო ორიენტირი გადატანილი აქვს რუსეთისკენ, გამოირჩევა ასევე ანტი ლგბტ განხცხადებებით. იგი აქტიურად მონაწილეობდა 5 ივლისის მოვლენებშიც და მოუწოდებდა მხარდამჭერებს მონაწილეობა მიეღოთ პრაიდის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაში. ამის შემდეგ კი „მსოფლიო საოჯახო კონკრეგის“ იუთუბ არხის მეშვეობით აკეთებდა მიმართვებს, რათა გაეთავისუფლებინათ 5 ივლისს დაპატიმრებული ადამიანები და მათ მოიხსენიებდა ღირსეულ მამულიშვილებად.

„კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე, რომელიც კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე ბლოგერია საკუთარი ბლოგების მეშვეობით იგი ყოველთვის ეხმიანებოდა ალტ-ინფოს მიერ დაგეგმილ აქციებს და აქტიურად მონაწილეობდა მასში; ღიად აფიქსირებდა ალტ-ინფოს იდეების მხარდაჭერას და მოითხოვდა 5 ივლისის მოვლენების შემდგომ დაკავებული ადამიანების გათავისუფლებას.

ალტ-ინფოს პარტიის მიმართ სიმპათიებით გამოირჩევიან სხვა კონსერვატიული ორგანიზაციებიც, მათ შორისაა “ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი”, “ერი და სახელმწიფო”, ასევე „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული-საზოგადოებრივი ცენტრი“, რომლის თავმჯდომარეც დიმიტრი ლორთქიფანიძეა (ifact.ge 2021).

რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგია

„კონსერვატიული მოძრაობა“ თავს წარმოაჩენს პროქართულ ძალად (altinfo.pw 2021), რომლის საპროგრამო პრიორიტეტები, მათივე თქმით, შემოიფარგლება ეროვნულ-კონსერვატიული იდეებით. როგორც აღნიშნავენ, დასახული აქვთ ამოცანა: ტერიტორიული

მთლიანობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ პრობლემების მოგვარება წარმოადგენს მათ პარტიულ პრიორიტეტებს.

პარტიის წევრთა შეფასებით, ქართული ეკონომიკა დღესდღეობით გადაქცეულია ე. წ. „მომსახურე პერსონალად“, შემოიფარგლება მხოლოდ ტურისტებისთვის მომსახურების გაწევით. იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა თავი დააღწიოს ეკონომიკურ სიდუხჭირეს და დაიწყოს ეროვნული წარმოება, უნდა არსებობდეს გასაღების ბაზარი, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა მცდელობების მიუხედავად, ვერ შეიქმნა. გასაღების ბაზარი გეოგრაფიულად მოიცავს რუსეთსა და ყოფილ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, აქედან გამომდინარე პარტიის წევრები საჭიროდ მიიჩნევენ რუსეთთან კომუნიკაციის აღდგენას.

მეორე არანაკლებ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევენ უსაფრთხოებას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ამ შემთხვევაშიც მათი გზები რუსეთის ფედერაციასთან მიდის. მათი შეფასებით (youtube.com 2021), ქვეყანაში ყოველთვის იქნება საფრთხე ხელახალი ომის დაწყების, შესაბამისად აუცილებელია „პრაგმატული საუბრები“ რუსეთთან, რათა თავიდან იქნეს არიდებული მოსახლეობისა თუ კონკრეტული ტერიტორიების დაკარგვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ნათელია, რომ „კონსერვატიული მოძრაობის“ საგარეო ორიენტირი რუსეთისკენ იხრება. როგორც პარტიის თავმჯდომარე, ზურა მახარაძე აღნიშნავს დასავლურ სახელმწიფოებს საკმაო დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ გადაედგათ რაიმე კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისთვის, თუმცა ამ ყველაფერმა უშედეგოდ ჩაიარა. შესაბამისად, მიაჩნიათ რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა იქნება გარანტი ზემოთ ხსენებული პრობლემების მოგვარებისა, ამისათვის მთავარია ქართული მხარის მზაობა და აანონსებენ აქტიურ შეხვედრებს რუსე-

თის პოლიტიკურ პარტიებთან. მათი აზრით, ზემოთ ხსენებული პრობლემების „გასაღები კრემლშია“, აქედან გამომდინარე მზად არიან დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები, იმ შემთხვევაში თუ მოხდება საქართველოს დეოკუპაცია და დევნილები დაუბრუნდებიან თავიანთ ძირძველ ტერიტორიას.

რუსეთთან დიალოგის დაწყების და გონიოში რუსული ბაზების განთავსების საფუძველს „კონსერვატიული მოძრაობისთვის“ წარმოადგენს ის, რომ ორ ქვეყანას შორის დაიწყება დიალოგი. რუსეთისთვის გონიოს ბაზა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტია, ვინაიდან იგი ემზადება თურქეთთან საბრძოლველად. თურქეთი რეგიონში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა, აქედან გამომდინარე რუსეთს სჭირდება ზღუდე, რათა შეაჩეროს თურქული ექსპანსია ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის გამოსავალი კი გონიოში განთავსებული ბაზა იქნება. „კონსერვატიულ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ თუ კი გონიოს საკითხზე მოლაპარაკებები შედგება, შემდგომ ეტაპზე დღის წესრიგში დადგება სოხუმის საკითხიც. ჩვენი ქვეყნის იმ ტერიტორიებს, რომელზედაც საქართველოს სახელმწიფოებრივი იურისდიქცია არ ვრცელდება მიენიჭებათ ფართო ავტონომიის სტატუსი. ამგვარი პოლიტიკით საქართველო აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას და ერთიანი საქართველოს სტატუსით გახდება ეკონომიკური ზონისა თუ უსაფრთხოების კონცეფციის ნაწილი (batumelebi.netgazeti.ge 2021).

„კონსერვატიული მოძრაობის“ აზრით, უპირველეს ყოვლისა, საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს 3+3 ფორმატში, რომელიც გახდება დიალოგის დაწყების საფუძველი. საყურადღებოა ისიც, რომ 2022 წლის იანვარში „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ვიდეო კონფერენციაც გამართა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებთან (alt-info.ge 2022). იმედოვნებენ, რომ მსგავსი პოლიტიკით ქართული მხარე თავიდან აიცილებს იმ საფრთხეებს და გამოწვევებს, რომელიც ემუქრება ამჟამად უკრაინას.

როდესაც ვსაუბრობთ „კონსერვატიული მოძრაობის“ რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიაზე, აუცილებელია განვიხილოთ მათი ჩართულობა და შეხედულებები რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 2022 წლის ანგარიშით (isfed.ge 2022) უკრაინაში რუსეთის აგრესიული ქმედებების პარალელურად ქართულ სოციალურ მედია სივრცეში აქტიურდება გზავნილები, რომელიც ატარებს ანტიდასავლურ შინაარს და მიმართულია ნატოს და ევროკავშირის წინააღმდეგ. აღნიშნული გზავნილები პროპაგანდისტული ხასიათისაა და ძირითადად შემდეგი შინაარსისაა: ა) ნაკლებპერსპექტიულია საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში; ბ) ნატოსა თუ ევროკავშირში გაწევრიანება წამგებიანია როგორც საქართველოსთვის, აგრეთვე უკრაინისთვის; გ) უკრაინას გაუჭირდება რუსეთის სამხედრო თავდასხმის მოგერიება; დ) ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები მიატოვებენ უკრაინასა და საქართველოს; ე) რუსეთისთვის დაწესებული სანქციები უშედეგო და არაფრის მომცემია (isfed.ge 2022). „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ შეფასებით, ამის უკან დგას „კონსერვატიული მოძრაობა“, მედიაპლატფორმა ალტ-ინფო და მათთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდები.

რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა „კონსერვატიული მოძრაობის“ პრორუსულობა და მათი დამოკიდებულება დასავლეთისადმი. ფეისბუქ გვერდებისა თუ საკუთარი სოციალური მედია საშუალებებით აქტიურად ავრცელებენ ნარატივს, რომ წარმოუდგენელია საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება ნატოში და რეალურად ეს ყველაფერი უპერსპექტივოა, თანაც იმ ფონზე, რომ რუსეთის ფედერაცია აქტიურად ითხოვს ნატოს გაფართოების პოლიტიკის შეცვლას აღმოსავლეთ ევროპაში. „კონსერვატიულ მოძრაობაში“ ფიქრობენ, რომ დასავლურ საერთაშორისო

ორგანიზაციებში გაწევრიანება იქნება დამღუპველი ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან მოგვიწევს უარი ვთქვათ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე და საფრთხის ქვეშ დგება მართლმადიდებლობის საკითხიც (isfed.ge 2022).

„კონსერვატიული მოძრაობა“ და მედია-პლატფორმა „ალტ-ინფო“ 3+3 ფორმატში ხედავს გამოსავალს, რათა საქართველომაც არ გაიზიაროს უკრაინის ბედი და ქვეყანა არ დადგეს ხელახალი ომის საფრთხის წინაშე. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ ფაქტს, თითქოსდა დასავლეთი ვერაფერს გახდება რუსეთის წინააღმდეგ, მათ მარტო დატოვეს უკრაინა და არ გადადგეს რაიმე ქმედითი ნაბიჯები ქვეყნის დასახმარებლად თუ ომის თავიდან ასაცილებლად. ავრცელებენ ინფორმაციას სამხედრო შეიარაღების შესახებაც, რომლის თანახმად რუსეთი ბევრად ძლიერია საკუთარ ოპონენტებთან შედარებით. რაც შეეხება სანქციებს, რომლებსაც ყოველდღიურად უწესებენ რუსეთს უკრაინის ტერიტორიაზე აგრესიული ქმედებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ ევროპისა თუ ამერიკის არადამაჯერებელ პოლიტიკას უსვამს ხაზს და მას არანაირი ზიანის მოტანა არ შეუძლია რუსეთისთვის. მსგავსი განცხადებების გამო, მედია-პლატფორმა ალტ-ინფოს და მასთან დაკავშირებული სხვა გვერდები დაბლოკა ფეისბუქმა, აგრეთვე ალტ-ინფოს საიტი გათიშა ქართველი ჰაკერების ჯგუფმა. ამ ყველაფერს მოჰყვა ისიც, რომ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ თავჯდომარემ მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რათა სამართალდამრღვევად ცნონ მედია-პლატფორმა „ალტ-ინფო“ და დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამის საფუძველს ქმნის ის განცხადებები, რომლითაც „ალტ-ინფო“ ამართლებს რუსეთის ფედერაციის დანაშაულებრივ ქმედებებს უკრაინაში და ამართლებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას (radiotavisupleba.ge 2022).

ურთიერთობა რუსეთზე ორიენტირებულ სხვა პარტიებთან

პარტიის იდეოლოგიიდან თუ საგარეო კურსიდან გამომდინარე ისმის კითხვა, რამდენად აპირებენ ისინი სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით მათთან, რომლებიც იზიარებენ კონსერვატიულ იდეოლოგიას და საგარეო პოლიტიკური ვექტორი მიმართულია რუსეთისკენ. პარტიის წევრები არ გამორიცხავენ არაფერს, თუმცა აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით ამ მხრივ საუბარი არ არის დაწყებული, ხოლო ზოგიერთ პოლიტიკურ ძალასთან, მათი ლიბერალური დისკურსისა თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო, შეხების წერტილი არ გააჩნიათ (radiotavisupleba.ge 2021).

ინტერესის ობიექტი გახლდათ, რამდენად შემოიკრებდა „კონსერვატიული მოძრაობა“ თავის გარშემო იმ პარტიებსა თუ ძალებს, რომლებიც რუსეთთან კომუნიკაციის დაწყებაში ხედავდნენ გამოსავალს და აქ ეძიებდნენ ქვეყნის განვითარების გასაღებს. კერძოდ ესაა „პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული მარში“. პარტიის ლიდერთა შეფასებით ამ ძალებსა და „კონსერვატიულ მოძრაობას“ შორის ბევრი განსხვავება არსებობს, თუმცა რომ გადავხედოთ მათ მოწოდებებსა და ღირებულებებს შეგვიძლია გამოვყოთ მსგავსი მახასიათებლებიც. „კონსერვატიული მოძრაობის“ და „პატრიოტთა ალიანსის“ მსგავსად ახასიათებს ლიბერალიზმის კრიტიკა, პარტიის პოლიტსაბჭოს წევრის განცხადებით, ლიბერალური იდეოლოგია გარკვეულწილად მოიცავს „4 არას“ პრინციპს, კერძოდ ლიბერალური ღირებულებების გაზიარება გულისხმობს საკუთარი ეროვნების, რწმენის, სამშობლოსა და სქესის დავიწყებას. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის კონსერვატიულ იდეოლოგიასთან, მათივე შეფასებით თითქოსდა ლიბერალიზმი სპობს ყველანაირ პატრიოტიზმს და სამშობლოს სიყვარულს. მსგავსი შეფასებები ისმის ალტ-ინფოს ტელევიზიიდანაც, რომ სწორედ ლიბერალიზმი უშლის ხელს ტრა-

დიციული, ქრისტიანული ღირებულებების დანერგვას და საფრთხეს უქმნის ეროვნულობას.

ორივე პარტიის მხრიდან ისმის კრიტიკა დასავლეთის მიმართ. „კონსერვატიულ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ დასავლეთის პოლიტიკა უშედეგო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად, შესაბამისად გამოსავლის პოვნა „ჩრდილოეთისკენ“ დაიწყეს და დაანონსეს უამრავ შეხვედრა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს“ მათი შეფასებით დასავლური სახელმწიფოები დაინტერესებული არ არიან ჩვენი ქვეყნის განვითარებითა და სახელმწიფოებრივი გაძლიერებით, არამედ მათ უბრალოდ სჭირდებათ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ტერიტორიები, ასეთი კი სწორედ საქართველოა. შესაბამისად, უხვად აფინანსებენ ლიბერალურ პარტიებს და ცდილობენ საკუთარი პოლიტიკის დანერგვას, თუმცა ეს არაა რეალურად დასავლური ღირებულებები. პირიქით, ისინი ძირს უთხრის, ანგრევს, რყვნის ქართულ სახელმწიფოებრიობას. „პატრიოტთა ალიანსში“ აცხადებენ, რომ ამის გამო მათ შეცდომით აწერენ „პრორუსული“ პარტიის იარლიყს და ეროვნულობა, პატრიოტიზმი, სამშობლოსა და შენი ერის სიყვარული, შენი ტრადიციების ერთგულება, შენი ხალხის მდიდარი ტრადიციების გამოცდილების გაზიარება ნაციონალ-კონსერვატიზმის ერთგულებაა და არა პრორუსულობა. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ 2022 წლის 20 იანვარს „პატრიოტთა ალიანსმა“ „მემარცხენე ალიანსთან“ ერთად ჩამოაყალიბა ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი, რომლის მიზანიც გახლავთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება და არსებული მდგომარეობის შეცვლა სასიკეთოდ. მათ დეკლარაციას ხელი 40-მდე ორგანიზაციამ მოაწერა, მათ შორის „ქართულმა მარშმა“ (1tv.ge 2022) „კონსერვატიული მოძრაობა“ ამჟამად ამ პროცესების მიღმაა.

საერთო შეხების წერტილი გააჩნია აგრეთვე „ქართულ მარშსა“ და „კონსერვატიულ მოძრაობას“. ორივე მათგანი გამოირჩევა

ანტი-ლგბტ მოწოდებებით და ამ ყველაფერს ამართლებს ქრისტიანობისა თუ ეროვნული ფასეულობების დაცვით. მაგალითად, 2017 წელს საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი გურამ კაშია ლგბტ სამკლაურით წარსდგა არნემის „ვიტესის“ თამაშზე (on.ge 2017). ამ ფაქტმა საზოგადოების რაღაც ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია, „ქართულმა მარშმა“ ფეხბურთელის წინააღმდეგ აქციაც გამართა. ისინი გმობდნენ ფეხბურთელის ქცევას და აკრიტიკებდნენ მას ლგბტ თემის მიმართ სოლიდარობის გამოხატვის გამო. მარშელები კაპიტნის ნაკრებიდან გაძევებას ითხოვდნენ (transparency.ge 2018)

მიუხედავად ამისა, მათ განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ რიგი საკითხების მიმართ. მაგალითად ის, რომ „ქართული მარშისთვის“ მიუღებელია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ბაზების განთავსება (radiotavisupleba.ge 2021), „კონსერვატიულ მოძრაობას“ კი დასაშვებად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული საკითხი და ფიქრობენ, რომ რუსეთისთვის სასარგებლო იქნება გონიოში სამხედრო ბაზის განთავსება (batumelebi.netgazeti.ge 2021). აცხადებენ, რომ მსგავსი ფაქტი კიდევ უფრო გაამარტივებს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებს და შესაბამისად, სარგებლის მომტანი იქნევა ქვეყნის წინსვლისთვის.

დასკვნა

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნე, რომ კვლევის მიზანი გახლდათ შემესწავლა ულტრამემარჯვენე პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ იდეოლოგია, საგარეო პოლიტიკა და დამოკიდებულება ჩრდილოელ მეზობელთან. შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მედია ალტ-ინფოს მიერ ჩამოყალიბებული პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ ახალი აქტორია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. მიუხედავად ამისა, საკმაოდ პოპულარულია უკვე ნეგატიურ კონტექსტში. იგი იზიარებს კონსერვატიულ იდეოლოგიას, თუმცა

რეალურად აცდენილნი არიან ჭეშმარიტი კონსერვატიზმის იდეას და იხრებიან უკიდურესი მემარჯვენეობისკენ და ამაზე დაყრდნობით ცდილობენ განსაზღვრონ პარტიული პრიორიტეტები. შესაბამისად, მათი იდეები ხშირად არის მონათლული ფაშისტურად. რაც შეეხება საგარეო ორიენტირს, პარტია ნათლად პრორუსული ძალაა, რაც ბევრჯერ დასტურდება, როგორც მათი პოზიციებიდან გამომდინარე (მათ შორის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში), აგრეთვე საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას და დასავლური სახელმწიფოების კრიტიკისას. მისი სიახლიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერაზე, თუ მათ საარჩევნო რეიტინგებზე, თუმცა საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებიან, რომ კონსერვატიული მოძრაობა პირველივე არჩევნებში იქნება წარმოდგენილი, იქნება ეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, თუ რომელიმე სხვა, ვადაზე ადრე დანიშნული.

გამოყენებული ლიტერატურა

„ალტ-ინფოს“ ტესტი — რით უნდა ვუპასუხოთ ტელევიზიით დაანონსებულ ძალადობას? https://netgazeti.ge/news/554883/ (19.07.2021)

„ალტ ინფოს“ გუნდმა პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ დააფუძნა https://1tv.ge/news/alt-infos-gundma-politikuri-partia-konservatiuli-modzraoba-daafudzna/ (20.11.2021)

ახალი პარტია, რომელიც გონიოში რუსეთის ჯარის დაბრუნებას აპირებს https://batumelebi.netgazeti.ge/news/376769/ (23.11.2021)

ახალი პოლიტიკური ალიანსი - https://1tv.ge/video/akhali-politikuri-aliansi/ (20.01.2022)

"გამოცხადდეს სამართალდამრღვევად" - საით მიდის "ალტ-ინფოს" და მისი პარტიის საქმე? https://www.radiotavisupleba.ge/a/31757719.html (17.03.2022)

გურამ კაშია ლგბტ თემს სოლიდარობას უცხადებს (16.09.2017) https://on.ge/story/15219
%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-
%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90-
%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%91%E1%83%A2-
%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A1-
%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-
%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1

ვიყავით და ისევ წავალთ რუსეთში - "ალტ-ინფოს" პარტია პოლიტიკაში მოვიდა https://www.radiotavisupleba.ge/a/31599772.html (08.12.2021)

ვოლსკი „კონსერვატიულ მოძრაობაზე": მე, მაგალითად, არ დავარეგისტრირებდი -https://www.radiotavisupleba.ge/a/31597994.html (07.12.2021)

5 ივლისი - სიძულვილის და საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვის დღეhttps://www.amerikiskhma.com/a/tbilisi-prode-

march-cancelled-after-massively-attack-radical-groups/5953554.html (24.12.2021)

კანდელაკი.ს (2021) *ევროსკეპტიციზმი და რელიგია ქართველი ულტრამემარჯვენეების პოლიტიკურ დღის წესრიგში*

„კონსერვატიული მოძრაობა“ – „ალტ-ინფომ“ პარტია დააფუძნა https://netgazeti.ge/news/577294/ (20.11.2021)

"კონსერვატიული მოძრაობის" სადამფუძნებლო ყრილობა https://www.youtube.com/watch?v=1FaAe5H5qjk (20.11.2021)

„კონსერვატიული მოძრაობა“ უახლოეს ხანში რუსეთში გეგმავს ვიზიტს, სადაც განიხილება რეგიონში არსებული უკიდურესად დაძაბული ვითარება და მოხდება გამოსავლის გზების ძიება https://alt-info.ge/archives/16707 (21.01.2022)

მარნეულში „კონსერვატიული მოძრაობის" ოფისი უკრაინის დროშის ფერებში შეღებეს https://www.radiotavisupleba.ge/a/31752637.html (14.03.2022)

„მის აკრძალვას მოვითხოვთ“: შეძლებს „კონსერვატიული მოძრაობა“ პარტიად არსებობას? https://www.radiotavisupleba.ge/a/31573257.html (22.11.2021)

8 პროპაგანდისტული გზავნილი უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით ფეისბუქზე (03.02.2022) https://isfed.ge/geo/blogi/8-propagandistuli-gzavnili-ukrainis-krizistan-dakavshirebit

რუსეთის „ალტერნატივა საქართველოსთვის“ (23.01.2021) https://www.ifact.ge/altin/

რუსთავში „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისი დაფუძნდა https://alt-info.ge/archives/16780 (23.01.2022)

საგარეჯოში „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი დაარბიეს https://reginfo.ge/politics/item/25508-sagarejoshi-%E2%80%9Enazionaluri-mowraobis%E2%80%9C-opisi-daarbies (15.03.2022)

საქართველოს კონსტიტუცია https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=dc569214-b116-4d51-92a9-34f2c72b98e3

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში „კონსერვატიული მოძრაობის“ 6 რაიონული ოფისი მუშაობას შეუდგა https://alt-info.ge/archives/16508 (15.01.2022)

ტაბატაძე.ს (2019) *ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები თანამედროვე საქართველოში*

ქართული ნეონაციზმის ანატომია https://www.transparency.ge /ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia (17.06.2018)

ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ხარაგაული, საგარეჯო - „ალტ-ინფოს" პარტიის წინააღმდეგ აქციები გრძელდება https://publika.ge/qobuleti-ozurgeti-lanchkhuti-kharagauli-sagarejo-alt-infos-partiis-winaaghmdeg-aqciebi-grdzeldeba/ (14.03.2022)

GDI ალტ-ინფოს სამართალდამრღვევად ცნობას სთხოვს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას https://www.radiotavisupleba.ge /a/31735779.html (04.03.2022)

ჯღარკავა.ი (2017) ანტი-მიგრანტული რიტორიკა საქართვე-ლოში: ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს პრო-ევროპულ დის-კურსს ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან?

Bessant.J (2017) *Right-wing Populism and Young 'Stormers': Conflict in Democratic Politics* [Browsed on 15.04.2022].

Ignazi P(1992) *The Silent Counter-Revolution* [Browsed on 15.04.2022].

Roy, O. (2016) *The French National Front: From Christian Identity to Laicité in Saving the People: How Populists Hijack Religion. Edited* [Browsed on 15.04.2022].

Wales O (2017) *Georgian far right nationalism and the Russ ian factors* [Browsed on 15.04.2022].

Nino Karalashvili

The "Conservative Movement" – The New Ultra-Right Force in the Georgian Political Space

Abstract

The article discusses the ultra-right political party "Conservative Movement" formed in 2021. Study aims to to study the ideology of the party, determine its foreign policy direction and draw parallels with other ultra right-wing political forces. The article is based on information published in the media, as well as personal interviews with representatives of the political parties mentioned in the article.

Key words: "Conservative movement"; Conservatism; The ultra-right; New political force.